საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2314-02
09/09/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სასერტიფიკატო და ტრენინგ პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის გიორგი გვალიას 2022 წლის 6 სექტემბრის N12794-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სასერტიფიკატო და ტრენინგ პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესი" ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს გიორგი გვალიას.
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ბრძანებით გათვალისწინებული ტექსტის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
სასერტიფიკატო და ტრენინგ პროგრამის დამტკიცებისა და განხორციელების წესი

1. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამის შემუშავება შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ, დამხმარე და მოწვეულ პერსონალს. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამა შეიძლება შემუშავდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან ან სხვა მესამე პირებთან თანამშრომლობით;
2. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამა შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც შესაბამისი კრედიტების მინიჭებას, ასევე, ხორციელდებოდეს კრედიტების მინიჭების გარეშე;
3. იმ შემთხვევაში თუკი სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამა ითვალისწინებს კრედიტის მინიჭებას, მისი დამტკიცება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე, ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინების და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე;
4. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამა, სადაც არ არის გათვალისწინებული კრედიტის მინიჭება, მტკიცდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის საბჭოს მიერ ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე;
5. საჭიროების შემთხვევაში სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამა შესაძლოა დამტკიცდეს აკადემიურ საბჭოზე, ფაკულტეტის/სკოლის ან პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის ინიცირების შემთხვევაში. ასეთ დროს პროგრამას თან უნდა ახლდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა;
6. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამაში, სადაც არ არის გათვალისწინებული კრედიტის მინიჭება და პროგრამის ავტორი არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - პროგრამის დასამტკიცებლად წარმოსადგენ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორის რეკომენდაცია;
7. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამის განხილვისა და დამტკიცებისათვის პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ყველა ფაკულტეტის/სკოლის დეკანებისა და სწავლების მიმართულებით რექტორის მოადგილისაგან. საბჭოს თავმჯდომარეობს სწავლების მიმართულებით რექტორის მოადგილე. საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს შემადგენლობაში შესაძლოა მოწვეულ იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორები და დარგის სპეციალისტები;
8. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი; გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, საბჭოს სხდომის შესახებ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. საბჭოს მუშაობისა და მისი სხდომების ადმინისტრირებას ახდენს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი;
9. პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს ცენტრის საბჭოს მიერ დამტკიცებული სასერტიფიკატო და ტრენინგ პროგრამების ადმინისტრირებას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში არსებული სხვა სასერტიფიკატო და ტრენინგ პროგრამების ადმინისტრირებას.
10. პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით ახორციელებს მის მიერ ორგანიზებული სასერტიფიკატო და ტრენინგ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე დამტკიცებული სასერტიფიკატო პროგრამის ან ტრენინგის ხარისხის უზრუნველყოფას შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
11. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს:

   ა) სერტიფიკატის ნიმუში ქართულ ენაზე (ინგლისურ ენაზე საჭიროების შემთხვევაში), რომელშიც მითითებული იქნება პროგრამის სახელწოდება, მოდულის დასახელება(არსებობის შემთხვევაში) კრედიტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა/ტრენინგი ერთზე მეტი მოდულისაგან შედგება, სერტიფიკატი შეიძლება გაიცეს როგორც თითოეული მოდულის გავლისას, ასევე, მთლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ;

   ბ) შეფასების კითხვარი მსმენელთათვის, რომელიც შემუშავდება ყოველი კონკრეტული სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამისთვის;

გ) პროგრამას წარდგენისას თან უნდა ახლდეს პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით. იმ შემთხვევაში თუკი ტრენინგი/პროგრამა ხორციელდება დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით, ბიუჯეტის შემუშავების მოდელზე შეთანხმება შესაძლოა შედგეს დონორსა და უნივერსიტეტს შორის ყოველი კონკრეტული ტრენინგის შემთხვევაში;

12. კრედიტიანი სასერტიფიკატო პროგრამის ან ტრენინგის შემთხვევაში, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე დამტკიცებულ პროგრამას, ფაკულტეტის/სკოლის დეკანი წარუდგენს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სწავლის საფასურის დამტკიცების მიზნით. წარდგინებას თან უნდა ახლდეს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი;
13. პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის საბჭოს მიერ დამტკიცებულ სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამას ცენტრის დირექტორი წარუდგენს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სწავლის საფასურის დამტკიცების მიზნით. წარდგინებას თან უნდა ახლდეს ცენტრის საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი;
14. სასერტიფიკატო ან ტრენინგ პროგრამაზე რეგისტრირებულ პირთან ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება (კომერციული პროგრამის/ტრენინგის შემთხვევაში);
15. პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის საბჭოზე დამტკიცებისთვის წარსადგენ სასერტიფიკატო პროგრამას ან ტრენინგს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

1. სასერტიფიკატო პროგრამის შევსებული ფორმა კრედიტის გარეშე კურსის შემთხვევაში (დანართი 1);
2. ბიუჯეტის სარეკომენდაციო შევსებული ფორმა (დანართი 4);
3. პროგრამის შეფასების კითხვარი/კითხვარები (აღნიშნული კითხვარი/კითხვარები მზადდება ყოველი კონკრეტული სასერტიფიკატო პროგრამისთვის ან ტრენინგისთვის მათი სპეციფიკების გათვალისწინებით);
4. სერტიფიკატის ნიმუში (მზადდება ყოველი კონკრეტული სასერტიფიკატო პროგრამისთვის ან ტრენინგისთვის).

16. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე დამტკიცებისთვის წარსადგენ სასერტიფიკატო ან ტრენინგს პროგრამას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

1. სასერტიფიკატო პროგრამის შევსებული ფორმა კრედიტიანი კურსის შემთხვევაში (დანართი 2);
2. სილაბუსის შევსებული ფორმა კრედიტიანი კურსის შემთხვევაში (დანართი 3);
3. ბიუჯეტის სარეკომენდაციო შევსებული ფორმა (დანართი 4)
4. პროგრამის შეფასების კითხვარი/კითხვარები (აღნიშნული კითხვარი/კითხვარები მზადდება ყოველი კონკრეტული სასერტიფიკატო პროგრამისთვის ან ტრენინგისთვის მათი სპეციფიკების გათვალისწინებით);
5. სერტიფიკატის ნიმუში (მზადდება ყოველი კონკრეტული სასერტიფიკატო პროგრამისთვის ან ტრენინგისთვის).

დანართი 1. სასერტიფიკატო პროგრამის ფორმა კრედიტის გარეშე კურსის შემთხვევაში

პროგრამის სახელწოდება	პროგრამის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს.
პროგრამის მიზანი	რაზეა ორიენტირებული პროგრამა/რა ცოდნის მიღებას/რა უნარების გამომუშავებას სთავაზობს პროგრამა მონაწილეს.
პროგრამის შედეგი	საჭიროა განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგი: რა ცოდნას შეიძენს და რა უნარები ექნება გამომუშავებული კურსდამთავრებულს. ანოტაციის ამ ნაწილში უნდა იყოს ჩამოყალიბებული როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციები, რომლებითაც მსმენელები აღიჭურვებიან სასერტიფიკატო პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს. სასერტიფიკატო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს ზუსტი, კონკრეტული, გაზომვადი. პროგრამის შედეგების რაოდენობა უნდა იყოს რეალისტური. მათი მიღწევა უნდა იყოს შესაძლებელი სასერტიფიკატო პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში
პროგრამის მოკლე აღწერა - ძირითადი თემები , რომლებსაც მოიცავს პროგრამა	უნდა განისაზღვროს პროგრამის ძირითადი თემები. სასურველია ძირითადი თემების მოკლე აღწერა. ძირითადი თემები ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან და ემსახურებოდეს მიზნის მიღწევას.
პროგრამის ხელმძღვანელი	საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელის სახელის, გვარის, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, აკადემიური სტატუსის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება.
პროგრამის შემუშავების თარიღი	საჭიროა პროგრამის შემუშავების თარიღის მითითება.
პროგრამაში შემავალი მოდულების სახელწოდება საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საჭიროა პროგრამაში შემავალი მოდულების რაოდენობის, მოდულების სახელწოდებისა საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობის მითითება.
პროგრამის ხანგრძლივობა/განაწილება დროში	საჭიროა პროგრამის ხანგრძლივობის (დღეების რაოდენობის) და სამუშაო დღეების სიხშირის/ განაწილების განსაზღვრა (მაგ: პროგრამის ხანგრძლივობა 6 დღე; ტრენინგები ჩატარდება შაბათ-კვირას;). პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება პროგრამის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ადეკვატური უნდა იყოს და ასახავდეს სამუშაოს ხანგრძლივობას, მოცულობას და თანმიმდევრობას. არასაკონტაქტო საათები ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ ხელს უწყობდეს პროგრამის შედეგების მიღწევას. ტრენინგის სტრუქტურა და დროში განაწილება უნდა შეესაბამებოდეს ტრენინგის თავისებურებასა და მსმენელთა საჭიროებებს.
პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი	უნდა განისაზღვროს, ვისთვის არის განკუთვნილი პროგრამა/ მიზნობრივი ჯგუფი პროგრამის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე.
პროგრამაში ჩართვის წინაპირობა	პროგრამაში ჩართვის წინაპირობა ის პირობაა, რაც შესრულებული უნდა ჰქონდეს პროგრამაში ჩართვის მსურველს. წინაპირობა შეიძლება იყოს გარკვეული საფეხურის აკადემიური ხარისხი, გარკვეულ დარგში ცოდნა, უცხო ენის ცოდნა, დასახელებული ლიტერატურის დამუშავება/პრაქტიკული სამუშაოს შესრულება და ა.შ.
პროგრამაზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა	საჭიროა მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა. მითითებული მინიმალური რაოდენობის მსმენელის დარეგისტრირების შემთხვევაში ჯგუფს შეუფერხებლად ჩაუტაროს ტრენინგი.

მონაწილეთა შეფასება	საჭიროა მითითება, თუ რა კომპონენტებით მოხდება მონაწილეთა შეფასება. შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს: დასწრება ტესტი პრეზენტაცია პროექტი სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაოს შესრულება (პროგრამის მიზნიდან გამომდინარე) და ა.შ. შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებული უნდა იყოს კომპონენტებზე. მინიმალური ზღვარი, რისი დაძლევაც მოეთხოვება მონაწილეს 51 ქულაა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მინიმალური ზღვრის აწევაც. შეფასების სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე საკონტაქტო საათებზე არანაკლებ 75%-იანი დასწრება.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის (მწვრთნელების) რაოდენობა და ვინაობა	საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობის და ვინაობის (სახელი, გვარი, სასწავლო გეგმის შესაბამისი უმაღლესი აკადემიური განათლება და შესაბამისი გამოცდილება) მითითება. ადამიანური რესურსის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მოცულობას
ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი	საჭიროა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის აღწერა (მაგ.: პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შინაარსობრივი დახვეწისათვის, მწვრთნელების/კურსის წამყვანები კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.)
მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა (საკონტაქტო საათების რაოდენობა)	მიუთითეთ ტრენინგზე მასწავლებლის/მასწავლებელთა საკონტაქტო საათების რაოდენობა
ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსის შესახებ	მიუთითეთ, რა რესურსებია საჭირო (გარდა ადამიანური რესურსისა) სასერტიფიკატო/ტრენინგის პროგრამის განსახორციელებლად

დანართი 2. - სასერტიფიკატო პროგრამის ფორმა კრედიტიანი პროგრამისთვის

პროგრამის სახელწოდება	პროგრამის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს.
პროგრამის მიზანი	რაზეა ორიენტირებული პროგრამა/რა ცოდნის მიღებას/რა უნარების გამომუშავებას სთავაზობს პროგრამა მონაწილეს.
პროგრამის შედეგი	[საჭიროა განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგი: რა ცოდნას შეიძენს და რა უნარები ექნება გამომუშავებული კურსდამთავრებულს. ანოტაციის ამ ნაწილში უნდა იყოს ჩამოყალიბებული როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციები, რომლებითაც მსმენელები აღიჭურვებიან სასერტიფიკატო პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს. სასერტიფიკატო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს ზუსტი, კონკრეტული, გაზომვადი. ამ მიზნით მიზანშეწონილია ბლუმის ან ნებისმიერი სხვა ტაქსონომიის გამოყენება https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/blooms-taxonomy/ პროგრამის შედეგების რაოდენობა უნდა იყოს რეალისტური. მათი მიღწევა უნდა იყოს შესაძლებელი სასერტიფიკატო პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში (პროგრამით განსაზღვრული კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით)
პროგრამის მოკლე აღწერა - ძირითადი თემები , რომლებსაც მოიცავს პროგრამა	უნდა განისაზღვროს პროგრამის ძირითადი თემები. სასურველია ძირითადი თემების მოკლე აღწერა. ძირითადი თემები ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან და ემსახურებოდეს მიზნის მიღწევას.
პროგრამის ხელმძღვანელი	საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელის სახელის, გვარის, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, აკადემიური სტატუსის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება.
პროგრამის შემუშავების თარიღი	საჭიროა პროგრამის შემუშავების თარიღის მითითება.
პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით	უნდა განისაზღვროს პროგრამის მოცულობა კრედიტებში . 1 კრედიტი = 25 სამუშაო სთ (25 სამუშაო სთ-ში იგულისხმება, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათები)
პროგრამაში შემავალი მოდულების სახელწოდება კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საჭიროა პროგრამაში შემავალი მოდულების რაოდენობის, მოდულების სახელწოდებისა და კრედიტების განსაზღვრა, ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობის მითითება.
პროგრამის ხანგრძლივობა/განაწილება დროში	საჭიროა პროგრამის ხანგრძლივობის (დღეების რაოდენობის) და სამუშაო დღეების სიხშირის/ განაწილების განსაზღვრა (მაგ: პროგრამის ხანგრძლივობა 6 დღე; ტრენინგები ჩატარდება შაბათ-კვირას;). პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება პროგრამის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ადეკვატური უნდა იყოს და ასახავდეს თეორიული და პრაქტიკული სამუშაოს ხანგრძლივობას, მოცულობას და თანმიმდევრობას. არასაკონტაქტო საათები ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ ხელს უწყობდეს პროგრამის შედეგების მიღწევას. ტრენინგის სტრუქტურა და დროში განაწილება უნდა შეესაბამებოდეს ტრენინგის თავისებურებასა და მსმენელთა საჭიროებებს.
პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი	უნდა განისაზღვროს, ვისთვის არის განკუთვნილი პროგრამა/ მიზნობრივი ჯგუფი პროგრამის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე.
პროგრამაში ჩართვის წინაპირობა	პროგრამაში ჩართვის წინაპირობა ის პირობაა, რაც შესრულებული უნდა ჰქონდეს პროგრამაში ჩართვის მსურველს. წინაპირობა შეიძლება იყოს გარკვეული საფეხურის აკადემიური ხარისხი, გარკვეულ დარგში ცოდნა, უცხო ენის ცოდნა, დასახელებული ლიტერატურის დამუშავება/პრაქტიკული სამუშაოს შესრულება და ა.შ.
პროგრამაზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა	საჭიროა მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა. მითითებული მინიმალური რაოდენობის მსმენელის დარეგისტრირების შემთხვევაში ჯგუფს შეუფერხებლად ჩაუტაროს ტრენინგი.
მონაწილეთა შეფასება	[საჭიროა მითითება, თუ რა კომპონენტებით მოხდება სტუდენტის შეფასება. შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს: დასწრება ტესტი პრეზენტაცია პროექტი სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაოს შესრულება (პროგრამის მიზნიდან გამომდინარე) და ა.შ. შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებული უნდა იყოს კომპონენტებზე.

	მინიმალური ზღვარი, რისი დაძლევაც მოეთხოვება მონაწილეს 51 ქულაა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მინიმალური ზღვრის აწევაც. შეფასების სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე საკონტაქტო საათებზე არანაკლებ 75%-იანი დასწრება.]
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის (მწვრთნელების) რაოდენობა და ვინაობა	საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობის და ვინაობის (სახელი, გვარი, სასწავლო გეგმის შესაბამისი უმაღლესი აკადემიური განათლება და შესაბამისი გამოცდილება) მითითება. ადამიანური რესურსის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მოცულობას.
ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი	საჭიროა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის აღწერა (მაგ.: პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შინაარსობრივი დახვეწისათვის, მწვრთნელების/კურსის წამყვანები კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.)
სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები	პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები: სერტიფიკატი გაიცემა მსმენელთა შეფასების სისტემაში აღწერილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ანუ მსმენელთა შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით დადებითი შეფასებისა და 75%-იანი დასწრების შემთხვევაში. ასევე საჭიროა სერტიფიკატის აღწერა. სერტიფიკატში მითითებული უნდა იყოს პროგრამის სახელწოდება, მოდულის/მოდულების დასახელება და კრედიტების რაოდენობა.
სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი	საჭიროა სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვიანობის სისტემის აღწერა. სისტემა უნდა მოიცავდეს ზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ, როდის, რა ხანგრძლივობით, რა პროგრამა, მოდული/მოდულები გაიარა, კრედიტების რა რაოდენობა მიენიჭა. შესაძლებელია სისტემა იყოს ბეჭდური ან ელექტრონული სახის.
პროგრამის გავლის საფასური	საჭიროა პროგრამის გავლის საფასურის განსაზღვრა.

დანართი 3 - სილაბუსის ფორმა კრედიტიანი პროგრამისთვის

1.	**სასწავლო კურსის დასახელება**	[სასწავლო კურსის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსს.]
2.	**სასწავლო კურსის ხანგრძლივობა**	[საჭიროა კურსის ხანგრძლივობის მითითება.]
3.	**კრედიტების რაოდენობა**	[განსაზღვრული უნდა იყოს კურსის წონა - კრედიტები. 1 კრედიტი = 25 სამუშაო სთ (25 სამუშაო სთ-ში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათები) ანუ 6 კრედიტიანი კურსის შემთხვევაში სამუშაო საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები) რაოდენობა 150 სთ-ის ტოლია]
4.	**საათების განაწილება** **(ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, შუალედური შეფასება, საბოლოო შეფასება, დამოუკიდებელი სამუშაო და ა.შ.)**	[მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო საათების რაოდენობა, ასევე მსმენელის დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობა. კურსით გათვალისწინებული შეხვედრები შესაძლებელია იყოს ლექციური, სემინარული, ლაბორატორიული მუშაობის, საველე მუშაობის სახის და ა. შ. განსაზღვრული უნდა იყოს, რამდენი სთ ეთმობა ლექციას, სემინარს, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ სამუშაოს, შუალედურ შეფასებას, საბოლოო შეფასებას, დამოუკიდებელ სამუშაოს და ა.შ. მაგ.: **საკონტაქტო სთ** - 47 სთ ვიდეოლექცია - 15სთ სააუდიტორიო ლექცია - 13სთ სემინარი - 13 სთ შუალედური შეფასება - 4 სთ საბოლოო შეფასება - 2 სთ **დამოუკიდებელი სამუშაო -** 103 სთ]
5.	**ლექტორი**	[საჭიროა სახელის, გვარის, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის, აკადემიური სტატუსის, ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება.]
6.	**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები**	[კურსზე დაშვების წინაპირობაა ის პირობა, რაც მსმენელს შესრულებული უნდა ჰქონდეს, თუ ექნება კურსის გავლის სურვილი. შესაძლებელია, წინაპირობა იყოს სხვა კურსის გავლა/გარკვეულ დარგში ცოდნა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კურსის/გარკვეული დარგში ცოდნის მითითება (მაგ.: შესაძლებელია კურსის ნაწილი ან სრული კურსი იკითხებოდეს ინგლისურ ენაზე. წინაპირობაში უნდა მივუთითოთ - ინგლისური ენის ფლობა შესაბამის დონეზე).]
7.	**სწავლების მეთოდები**	[გასაწერია სასწავლო კურსის ფარგლებში გამოსაყენებელი სწავლის მეთოდები.]
8.	**სასწავლო კურსის მიზანი**	[უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზანი. რა ცოდნას და როგორ ცოდნას მისცემს სასწავლო კურსი მსმენელებს? რას შეისწავლიან მსმენელები სასწავლო კურსის ფარგლებში?]
9.	**ძირითადი თემები**	[უნდა განისაზღვროს, რა ძირითადი თემებისგან შედგება სასწავლო კურსი.]
10.	**სწავლის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)**	[სილაბუსის ამ ნაწილში უნდა იყოს ჩამოყალიბებული როგორც დარგობრივი, ასევე ზოგადი კომპეტენციები, რომლებითაც მსმენელები აღიჭურვებიან სასერტიფიკატო კურსის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს კურსის მიზანს. სასერტიფიკატო კურსის სწავლის შედეგები უნდა იყოს ზუსტი, კონკრეტული, გაზომვადი. ამ მიზნით მიზანშეწონილია ბლუმის ან ნებისმიერი სხვა ტაქსონომიის გამოყენება https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/blooms-taxonomy/ კურსის სწავლის შედეგების რაოდენობა უნდა იყოს რეალისტური. მათი მიღწევა უნდა იყოს შესაძლებელი სასერტიფიკატო კურსის ხანგრძლივობის განმავლობაში (კურსით განსაზღვრული კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, თუ ასეთი არის განსაზღვრული). საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, კურსი უნდა ითვალისწინებდეს არა უმეტესი 4-5 ძირითადი სწავლის შედეგის მიღწევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კურსის სწავლის შედეგების განსაზღვრისას თავი ავარიდოთ სწავლის შედეგების ფრაგმენტაციას/დანაწევრებას უკიდურესაც ვიწრო უნარების დონემდე და მათ დუბლირებას.]

		სწავლის შედეგებში განსაზღვრული კომპეტენციები კონკრეტული და გაზომვადი უნდა იყოს. ამიტომ სწავლის შედეგების ფორმულირებისას სასურველია გამოყენებულ იქნას სიტყვები: ავლენს ცოდნას, შესწავლილი აქვს, დაუფლებულია, შეუძლია, ქმნის, გეგმავს, აკეთებს ანალიზს, არჩევს, იყენებს, განმარტავს, ახდენს დემონსტრირებას, ამზადებს, ხსნის, წინასწარ განსაზღვრავს, აფასებს, ადარებს და ა.შ. ზოგიერთი ფორმულირება ნაკლებად მკაფიოდ გამოხატავს კონკრეტულ მოქმედებას, სხვადასხვა ადამიანმა შესაძლოა სხვადასხვაგვარად აღიქვას მათი მნიშვნელობა. ამიტომ სასურველია, სწავლის შედეგების წერისას არ გამოვიყენოთ სიტყვები: ითვისებს, ესმის, იცნობს].
11.	**შეფასების წესი**	[საჭიროა მითითება, თუ რა სისტემით, რა კომპონენტებით და რა კრიტერიუმებით მოხდება მსმენელის შეფასება. შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა, - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა,- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასურველია, შეფასების კომპონენტების რაოდენობა არ იყოს 3-ზე ნაკლები. შუალედური/დასკვნითი შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს: კოლოკვიუმი ტესტი პრეზენტაცია პროექტი და ა.შ. შეფასების დასკვნითი კომპონენტის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 30 ქულას. მაგ.: ტესტი I – 25 ქულა პრეზენტაცია - 25 ქულა ტესტი II – 25 ქულა დასკვნითი შეფასება - 25 ქულა ან ტესტი I – 30 ქულა პროექტი - 30 ქულა აქტიურობა - 10 ქულა ესე - 30 ქულა ასევე საჭიროა შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, ანუ რის მიხედვით ხდება ამა თუ იმ კომპონენტის შეფასება.
12.	**ლიტერატურა და სხვა რესურსები**	[მითითებული უნდა იყოს დასამუშავებელი ანუ ძირითადი ლიტერატურა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ლიტერატურა: ავტორის სახელი (ინიციალით), გვარი, წიგნის სრული დასახელება, გამოცემის ადგილი და წელი. სტატიის მითითებისას - ავტორის სახელი (ინიციალით), გვარი, სტატიის სათაური, ჟურნალის ან კრებულის სრული დასახელება, გამოცემის ადგილი და წელი. სასურველია, მითითებული იყოს გვერდები.]
13.	**თემატიკა კვირების მიხედვით**	[საჭიროა თემატიკის გაწერა კვირების მიხედვით, შესაძლებელია, ძირითადი თემა იყოს რამდენიმე, რომლის თემატიკაც სასწავლო კვირებზე უფრო დეტალურად გაიწერება. ეს პუნქტი მსმენელს ამომწურავ ინფორმაციას აძლევს თითოეული კვირის მანძილზე შეთავაზებული თემატიკის/მასალის, ჩასატარებელი სამუშაოს შესახებ.

დანართი 4 - ბიუჯეტის სარეკომენდაციო ფორმა

დასახელება	თანხა (ლარი)
სულ შემოსავალი	0.0
კურსის საფასური მსმენელების რაოდენობა	
სულ ხარჯი	0.0
სულ ლექტორების სახელფასო ხარჯი	0.0
სულ დატვირთვა (სთ)	
ლექტორის ანაზღაურება 1 საათში	
კოორდინატორის ანაზღაურების ხარჯი	0.0
სხვა სახელფასო ხარჯი	0.0
სასწავლო მასალების ხარჯი	0.0
გასვლითი ღონისძიებების ხარჯი	0.0
სერთიფიკატის ხარჯი	0.0
სხვა დამატებითი გაუთვალისწინებელი ხარჯი	0.0
ოვერჰედი	0.0
რესურსი ცენტრის განვითარებისთვის	0.0
დღგ	0.0